სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14500724155619

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190292602

რეგისტრაციის თარიღი

19.03.2019 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
ტელეფონი: 0322931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის ცხრამეტ მარტს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #6, მომმართა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქემ **ამრ გამალ აბდელათი აბდელგანიმ,** რომელმაც წარმომიდგინა მისთვის ცნობილი ინგლისური ენის მცოდნე თანჯიმანი ანა ლემონჯავა, რომელმაც განაცხადა, რომ **ამრ გამალ აბდელათი აბდელგანის,** როგორც **შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ 430800733)** დირექტორს სურს ორენოვანი (ქართულ/ინგლისური) მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ეგვიპტეს მოქალაქემ **ამრ გამალ აბდელათი აბდელგანიმ** (დაბ.10.01.1985წ. პ/ნ 01391025956, ბინადრობის მოწმობა 16TR11112. მოქმედების ვადა 02.01.2023წ) და თარჯიმანმა **ანა ლემონჯავამ** (დაბ.18.01.1991წ. პ/ნ 62005030298, მცხოვრები: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N 17) ომმართეს.

მე აგრეთვე შევამოწმე **ამრ გამალ აბდელათი აბდელგანის** უფლებამოსილება, კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ 430800733) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (იურიდიული მისამართი:საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ გელოვანის გამზ., N 13, სართული 7, საიდენტიფიკაციო კოდი: 430800733, ელ. ფოსტა: aabwaz@gmail.com, სამართლებრივი ფორმა:, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18097128, 13/09/2018 13:03:36, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 31/07/2017.

მე შევამოწმე მათი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე დავადგინე მისი, როგორც შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ 430800733) დირექტორის ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე, მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარში და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. თარჯიმანმა უთარგმნა მას ჩემს მიერ წაკითხული მიდნობილობის შინაარში და მასზე ხელმოწერის სამართლებრიცი შედეგები.
თარჯიმანი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე.

ანა ლემონჯავამ წარმომიდგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - (დიპლომი AAN #00805, გაცემული სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 05.05.2014).

სანოტარო მოქმედების მოწაწილე და მთარგმნელი ადასტურებენ მთარგმნელობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობას.

მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მან და მის მიერ წარმოდგენილმა თარჯიმანმა მოაწერეს ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი,** როგორც შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ 430800733) დირექტორი, რომელიც შემდეგ ამ მინდობილობაში წოდებულია „მიმწდობი" ამ მინდობილობით **ელენე ლიპირიდის** (დაბ.26.01.1967წ. პ/ნ 01019009185), რომელიც შემდეგში ამ მინდობილობაში წოდებულია „მინდობილი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: **ელენე ლიპირიდი** უფლებამოსილია განახორციელოს შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ 430800733) სამეწარმეო და/ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული კანონით ნებადართული და კომპანიის წესდებით განსაზღვრული დირექტორის უფლებამოსილება. იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე ყველა საჯარო ინსტანციაში, თვითმმართველობის ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ქონების ლეგალიზაციის კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, გამგეობაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქალაქის მერიაში, საკრებულოში, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ტექინვენტარიზაციის ბიუროს არქივში, არქივში, სანოტარო ბიუროში, ზედამხედველობის სამსახურში, მოახდინოს შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ430800733) უძრავი ქონების გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, ფართების დაზუსტება, კორექტირება. აწარმოოს ნებისმიერი სახის მშენებლობა, შეადგინოს პროექტი, შეიტანოს პროექტში ცვლილებები, შეცვალოს უძრავი ქონების საკუთრების ტიპი და/ან ნაკვეთის ფუნქცია, მოახდინოს საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება, საზღვრების დადგენა/კორექტირება, ნომრის მინიჭება, მშენებლობის ნებართვის აღება, შეცვალოს მიწის ნაკვეტის კატეგორია, წითელი ხაზების დადგენა/რეგისტრაცია, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება და მოახდინოს შპს „იორკ თაუერს"–ის (ს/კ430800733) სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაცია, დაკანონება, ლეგალიზაცია, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს ნებისმიერი ხარვეზის ჩასწორება, იყოს წარმომადგენელი საქართვრლოს ნებისმიერ ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და დასუფთავების კომპანიაში, ინტერნეტ-პროვაიდერებთან, ნებისმიერ სხვა საკომუნალო სამსახურში და კერძო კომპანიებში, შეყვანოს კომუნიკაციები, დამარეგისტრიროს აბონენტად, გადაიხადოს კანონმდებლობით გათავლისწინებული გადასახადები. ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი განაცხადს, თანხმობას, გადაწყვეტილებას, დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია ერთი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება თეა მაღალდაძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

წესდების ფოტო ასლი

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა _____

თარჯიმანი _____

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე

Georgia
Notary act

On March 19, 2019 I, notary of Georgian Tea Magaldadze, at my notary bureau locating: Tbilisi, 6,Mtkvari str ., was addressed by the citizen of Arab Republic of Egypt **AMR GAMAL ABDELATY ABDELGHANY** and introduced English language translator known to him- Ana Lemonjava, who stated that he is director of the **"YORK TOWERS " LLC (I/C: 430800733)** wants to draw up a bilingual (Georgian and English) power of attorney and to notarize it.

I verified their identity according to their submitted identity documents and I was assured that I was really addressed by – the citizen of Arab Republic of Egypt **AMR GAMAL ABDELATY ABDELGHANY** (born on:10.01.1985 , personal N : 01391025956, ID card N : 16TR11112) and English language translator introduced by her- Ana Lemonjava(P/N 62005030298, born on 18/01/1991, Ochamchire, residing at: Tsinamdzghvrishvili street N 17).

I also checked the authority of **AMR GAMAL ABDELATY ABDELGHANY**, in particular the fact that he is truly a director of the **YORK TOWERS " LLC (I/C: 430800733) ,** according to the extract from Register of Entrepreneurial and Non-Entrepreneurial (non-commercial) Legal Persons. (Legal address: Georgia, Tbilisi, Saburtalo district, Marshal Gelovani Ave., N 13, floor 7, Identification code: **430800733**, E-mail: aabwaz@gmail.com , Legal form: Limited Liability Company, serial number of the application registration, date of preparation: B18097128, 13/09/2018 13:03:36, registering authority: LEPL National Agency of Public Registry, State registration number: 31.07.2017.

I verified their capacity and authority and I was assured that I have no basis to be in doubt about their capacity. I ascertained the authenticity of his will as a director of **"YORK TOWERS" LLC (I/C: 430800733),** afterwards I drew up the text of the power of attorney. I read and explained the content of authorization and legal results of signature on it.
The translator translated the content of authorization that was read by me and legal results of signature on it.
The translator is warned by me about the responsibility that is followed by an incorrect translation, after that she stated that she knows English language properly and is responsible for the correctness of the translation. I also verified the fact that Ana Lemonjava is authorized to translate the present power of attorney (according to the Diploma AA№000805, issued by Sokhumi State University).

The participant of the notary act and the translator confirms the absence of the translation excluding circumstances. He read, liked the text of authorization and clearly and distinctly declared that it exactly expresses his will and after this he and translator who was represented by him personally signed to below -mentioned authorization in my Notary presence.

POWER OF ATTORNEY

I, **AMR GAMAL ABDELATY ABDELGHANY**, as a director of "York Towers" LLC (i/c 430800733), who then in this power of attorney is mentioned as "Trustier ", with this power of attorney granted the following authority to **ELENE LIPIRIDI** (born on: 26.01.1967. P/N 01019009185) who then in this power of attorney is mentioned as "Trustee". ELENE LIPARIDI is authorized to fulfill authorization of a director defined by the charter of a company and allowed by the law connected with entrepreneurial and/or other activities of "YORK TOWERS" LLC (I/C 430800733). Be my representative in any state and non-state organizations, with physical and legal individuals, also in all public instances, in the bodies of

self-governance, Public Service Hall, LEPL National Agency of Public Registry of Ministry of Justice of Georgia, LEPL National Agency of Civil Registry of Ministry of Justice of Georgia, Tax Inspection of the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia, Commission on Property Rights Recognition, Property Legalization Commission, Architecture Service, Ministry of Economy and Sustainable Development, local government, City Hall Architecture Department, City Hall, City Council, Municipal Office of Urban Planning of Tbilisi City Hall, Archive of Tech-inventory Bureau, Archive, Notary Bureau, Supervision Service, carry out to drop a boundary between the real estates of "YORK TOWRS" LLC (I/C: 430800733), their unification, separating, adjustment of the areas, correction. Fulfill any kind of building, compile a project, make changes in the project, change the property type of an immovable property and/or function of the plot, carry out changing of identification data, stating/correction of the boundaries, assigning a number, to get a building permission, change the category of a land-plot, setting up/registration of the red lines, apply a statement on my behalf and carry out registration of the real estate, make it legal, legalize it under the name of "YORK TOWERS" LLC (I/C: 430800733), in the case of existing blemish, fulfill correction of any blemishes, be my representative in any companies of electric power, natural gas, water supply and cleaning, with Internet - providers, in any other communal organizations, and private companies, provide communications, register me as a subscriber, pay taxes regarded by the legislation. Sign on the statement, consent, resolution, documents instead of me and fulfill all those actions, that will be required to carry out denoted tasks.

The power of attorney is valid for one month.

The power of attorney is drawn up in Georgian and English languages as three copies having the equal legal power, from which one copy is kept in my notary archive and others are given to the principal.

That copy of the power of attorney, which is saved in the archive of my notary bureau, has attached the following documents: an extract from the register of entrepreneur and non-entrepreneur (non-commercial) legal entities; photo-copy of the charter

Fee is paid 10.00 Gel pursuant to the article 31 of resolution № 507 of the Georgian government as of December 29, 2011 "On approval of the amounts of fee for Notary services and fee to the Notary chamber of Georgia, the procedure of payment thereof and the terms of service" , 2 Gel pursuant to the article 39, and 1.80 GEL pursuant to the article 169 of the Tax Code. Totally 13.80 GEL .

Signature: _____

Signature: _____

Notary of Georgia:

Tea Maghaldadze



წერილი ნებართვის გაცემის შესახებ

ქ. თბილისი

29/08/2019

მე, დავით დემურაშვილი (პირადი ნომერი: 10002000820), როგორც ნებართვის გამცემი წინამდებარე წერილზე ხელმოწერით შპს "იორკ თაუერსი"-ს - დაფუძნებული საქართველოში, რეგისტრაციის ნომერი: 430800733, წარმოდგენილი ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი-ს მიერ, პ/ნ: 01391025956. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანი 13, ნებართვას ვრთავ შპს **„ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 425362831, ბოლნისი, ჩოლოყაშვილის ქ. 2) წარმოდგენილია მისი დირექტორის ბ-ნი დავით დემურაშვილის მიერ (პირადი ნომერი: 10002000820) საკუთრებაში არსებულ მიწინს ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.764) განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე და მის გარშემო განათავსოს შპს "იორკ თაუერსი"-ის მიერვე წარდგენილი სარეკლამო მასალა შესაბამისი ნახაზებისა და წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად.

შპს **„ზ და დ გლობალ ბილდინგ კომპანი"-ს დირექტორი**

დავით დემურაშვილი (პირადი ნომერი: 10002000820)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191021768
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.08.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ჩიტიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მტკვრის ქ.N6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706671
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	37978555616419

დღეს, ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაცხრა აგვისტოს მე, ნოტარიუს თამარ ჩიტიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის ქ.N6-ში, მომმართა მოქალაქე დავით დემურაშვილმა, მან გამოხატა ნება წარმოდგენილ დოკუმენტზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმების. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით დემურაშვილმა /დაბ.24.04.1980 წ. მის. ბოლნისი, დ. კაზრეთი N 118/119, ბ. 40, პN10002000820/ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მხარეს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარს და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს - წერილი ნებართვის გაცემის შესახებ. 29.08.2019წ. 2 ეგზემპლარი, თითო ერთ ფურცლად, რასაც ვამოწმებ. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილებით (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507) მ. 31 – 4.00 ლარი (2 ეგზ.) - სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის + მ. 39. - 2.00 ლარი-სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური. სულ 6.00 ლარი.

ნოტარიუსი:_____/თამარ ჩიტიანი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18